საშუალოვადიანი პრიორიტეტი	დასაქმების ხელშეწყობა
"დასაბუთება"	აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დასაქმების ხელშეწყობის მართვის ეფექტიანი უზრუნველყოფისათვის დასაქმების სისტემისა და მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა.
საშუალოვადიანი მიზანი:	დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელს შორის ოპერატიული და ეფექტური კავშირის უზრუნველყოფა; სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად შრომის ბაზრის მართვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ დასაქმებულთა და უმუშევართა აღრიცხვა; სამუშაოს მაძიებელთა კონკურენტუნარიანობის გაზრდა როგორც პროფესიული და პიროვნული, ასევე თვითპრეზენტაციის უნარების განვითარების, თვითშეფასებისა და შრომის ბაზარზე ორიენტაციის გზით;
ძირითადი სამოქმედო გეგმა	ა)აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია და აღრიცხვა; ბ) სამუშაოს მაძიებელ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავება, ამ პირთა შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნა და მისი მუდმივი განახლება; გ)სამუშაოს მაძიებელთა კონსულტირება და მათი შრომითი მოწყობის მიზნით საშუამავლო საქმიანობის ორგანიზება; გ[1])სააგენტოს სერვისებით მოსარგებლეთა კონსულტირება და ხელშეწყობა/ინფორმირებულობა შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით; გ[2])ქვეყნის ფარგლებს გარეთ შრომითი მოწყობის მიზნით სამუშაოს მაძიებელთა კონსულტირება და ინფორმირებულობა/ხელშეწყობა; დ)დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა და მისი განხორციელება; ე)სამუშაოს მაძიებელთათვის პროფესიული ტრენინგების ჩატარება/ორგანიზება სხვადასხვა სფეროში; ვ) შრომის ბაზრის კვლევა; ზ) სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების შედეგად დასაქმებულთა აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის შევსება/განახლება; თ) საჯარო და კერძო სექტორში მოქმედი ორგანიზაციების კონსულტირება სააგენტოს სერვისებით სარგებლობის შესახებ/საჯარო და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა; ი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სექტორში მოქმედი ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის შექმნა და მისი მუდმივი განახლება; ი[1])სააგენტოს ერთიან მონაცემთა ბაზის შესაბამისად გაწეული სერვისების შესახებ უტყუარი სტატისტიკური მონაცემების წარმოება; კ) საჯარო და კერძო სექტორში არსებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა; კ[1]) ფორმალური და არაფორმალური განათლების შესახებ ინფორმაციის

	გავრცელების ხელშეწყობა; ლ)ინოვაციური იდეების შემუშავება და სერვისების მუდმივი განვითარება.
პრიორიტეტი	დასაქმების ხელშეწყობა
პროგრამა	დასაქმების ხელშეწყობის მართვა
განხორციელების ვადები	2018-2021 წწ.
პროგრამის ბიუჯეტი	1 926 200 ლარი(2018 წ. – 710 000 ლ.;2019წ.-405 400 ლ.;2020 წ. -405 400 ლ.;2021 წ.– 405 400 ლ.)
პროგრამის მიზანი	აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დასაქმების სისტემისა და მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა.
პროგრამის აღწერა	უზრუნველყოფს დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებლის ოპერატიულ კავშირს, ვაკანსიის შესაბამისი კადრის შერჩევასა და დამსაქმებლისათვის შეთავაზებას; ქმნის ინფორმაციულ ბაზას სამუშაოს მაძიებლისა (მათ შორის უმუშევრების) და შრომის ბაზარზე არსებული შესაძლელობების შესახებ; შრომის ბაზრის ანალიზის შედეგად, უმუშევრობის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით სამოქმედო გეგმის შემუშავება; სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად შრომის ბაზრის მართვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ დასაქმებულთა აღრიცხვასა და მონაცემთა შევსება/განახლებას. სამუშაოს მაძიებელების დახმარებას კარიერული დაგეგმვისა და კონსულტაციის მიმართულებით; პერსონიფიცირებული მომსახურების დანერგვას; თვითმომსახურების მიღების მექანიზმების დანერგვას; სამუშაოს მაძიებელთა დასაქმებაზე ორიენტირებული უნარების განვითარებას (როგორიცაა: CV შედგენა; თვითპრეზენტაცია; გასაუბრებაზე მოქცევის წესი; სააგენტოს მონაცემთა ბაზით სარგებლობა და საკუთარი პროფაილის მართვა და აშ.) არაფორმალური განათლების მიწოდების გზით; დამსაქმებლების ხელშეწყობას სამუშაო რესურსის მართვის მხრივ.
პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო შედეგი)	უმუშევრობის შემცირებისა და ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობა;

პრიორიტეტი	დასაქმების ხელშეწყობა
პროგრამა	**დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა**
განხორციელების ვადები	2018-2021წწ.
პროგრამის ბიუჯეტი	1 541 200 ლარი (2018წ. -385 300ლ.; 2019წ. -385 300ლ.; 2020 წ. – 385 300; 2021 წ. – 385 300 ლ.)
პროგრამის მიზანი	რეგიონის შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ადამიანური რესურსების მდგრადი გაუმჯობესება, ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული და არაფორმალური სწავლების უზრუნველყოფით, მათი შესაძლებლობებისა და პოტენციალის განვითარებისა და შემდგომი დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობით; დასაქმების ხელშეწყობისათვის სააგენტოს ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მომსახურეობის ხარისხის ზრდა სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაციით და სააგენტოს მეშვეობით შემოთავაზებული მომსახურეობისა და სერვისით მოსარგებლე მოქალაქეების ზრდით.
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს: ა) აჭარის რეგიონში მცხოვრები სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენელთა გადამზადებას შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში. პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა/ამაღლების მიზნით პროგრამის მოსარგებლეები გაივლიან სწავლების თეორიულ და პრაქტიკულ კურს პროფესიული მიმართულებით, უცხო ენის შემსწავლელ კურს და ერთვიანი საწარმოო პრაქტიკას კონკრეტულ სპეციალობებში პრაქტიკული უნარების გაზრდისა და მუშაობის გამოცდილების შეძენისათვის. პროგრამის ფარგლებში სულ გადამზადდება 90 ბენეფიციარი. ბ) შშმ პირთა ინდივიდუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზებას, შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. შრომის ბაზრის თავისებურებებისა და შშმ პირთა შესაძლებლობლობების გათვალისწინებით შემუშავებულ ინდივიდულური გადამზადების კურსებს გაივლის გადამზადების საჭიროების მქონე სამუშაოს მაძიებელი შშმ პირები. კურსი მოიცავს პროფესიული უნარების შეძენა-ამაღლებისათვის თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობას და საწარმოო პრაქტიკას. პროგრამის ფარგლებში გადამზადდება 10 შშმ პირი. გ) პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერას მათთან დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობისათვის. არაფორმალური განათლების გზით განხორცილდება დასაქმებული

	შრომითი ძალის უნარების ამაღლება ახალი საბაზრო მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად და ინსტრუქტორების მომზადება მართვისა და მენეჯმენტის, შრომის უსაფრთხობისა და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში. აღნიშნული ხელს შეუწყობს ორგანიზაციების განვითარებას, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას, რაც ორგანიზაციაში არსებული სამუშაო ადგილების მდგრადობას განაპირობებს. პროგრამის ფარგლებში სულ გადამზადდება 180 ბენეფიციარი. დ) სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაციის უზრუნველყოფას სააგენტოს სერვისით მოსარგებლე და დასაქმებული პირების რაოდენობის ზრდისათვის. სააგენტოს საქმიანობისა და შეთავაზებული სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, სააგენტოს მომსახურებით მოსარგებლეებთან პერსონალური თანამშრომლობა გააუმჯობესებს დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფას და შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებულ დღევანდელ დისბალანსის მაქსიმალურად შემცირებას. ე) კოორდინირებული სამოქმედო გეგმის შემუშავებას სტუდენტების დასაქმების მაჩვენებლის ზრდისათვის. გეგმა მოიცავს შრომის ბაზრის მიმართულებებზე ორიენტირებული მოკლევადიანი არაფორმალური განათლების მოდულის გავლას, საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერებით კონკრეტულ სამუშაო ადგილზე საჭირო უნარების ამაღლებას და სწავლასთან თავსებადი სამუშაო განრიგით დასაქმებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტების თვითრეალიზაციასა და კარიერული ზრდას. პროგრამის ფარგლებში გადამზადებისა და დასაქმების სერვისი მიეწოდება 120 სტუდენტს. ვ) რეგიონალურ შრომის ბაზარზე უცხოური გამოცდილების დანერგვას ჩვენი მოქალაქეების უცხოეთში ლეგალური დასაქმების ხელშეწყობით. საპილოტე პროექტი მიზნად ისახავს აჭარის რეგიონში, უცხოეთში ლეგალური დასაქმების მსურველთათვის პროფესიული განათლების და დასაქმების მოდელის შექმნას. პროგრამის ფარგლებში უცხოეთში დასაქმების მსურველი სამუშაოს მაძიებელი, პროფესიული და პიროვნული უნარების განვითარებისა და განმტკიცების მიზნით გაივლიან მოკლევადიან სპეციალიზირებულ მომზადება/გადამზადების ტრენინგ კურს. სასწავლო მოდული შემუშავდება იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც უცხოეთში კონკრეტულ პოზიციებზე არსებული უფლება მოვალეობების წარმატებით შესრულებისთვის არის აუცილებელი, რის შემდეგაც სასწავლო პროცესის დაწყებამდე

	განხორიელდება მისი აკრედიტაცია. პროგრამის მოსარგებლეები საზღვარგარეთ ლეგალური დასაქმების გზით შეძლებენ აიმაღლონ უცხო ენების ცოდნის დონე, გაეცნონ ახალ კულტურას და გაიმყარონ ინტერკულტურული კომპეტენციები, გაიფართოვონ პროფესიული და პიროვნული ჰორიზონტი, შეიძინონ ახალი ცოდნა, უნარ-ჩვევები და საჭირო კონტაქტები საზღვარგარეთ. აქედან გამომდინარე დასაქმება უცხო ქვეყანაში ჩვენს მოქალაქეებს არა მარტო პროფესიული, არამედ პიროვნული განვითარების საშუალებასაც მისცემს. ამასთან შესაძლებელია გაიუმჯობესონ თავიანთი მატერიალური მდგომარეობა და სამშობლოში დაბრუნებულებმა ყოფითი პრობლემებისა და დამატებითი სტრესის გარეშე მოიძიონ მათთვის სასურველი სამუშაო ან დასაქმდნენ დამოუკიდებლად. პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღებით ისარგებლებს 25 ბენეფიციარი
პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო შედეგი)	შრომის ბაზარზე არსებული ადამიანური რესურსის დეფიციტის შევსება სერთიფიცირებული, შესაბამისი პროფესიული კომპეტენციის მქონე, კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრებით. დასაქმების სააგენტოს ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მომსახურეობის ინფორმირებულობის ზრდის საფუძველზე დასაქმების ხელშეწყობა, რაც გამოიხატება დასაქმების სააგენტოს სერვისით მოსარგებლე და დასაქმებული პირების რაოდენობით, ასევე დასაქმების გაზრდილი შესაძლებლობებით.